

მემორანდუმი
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი

2015 წლის 26 ივნისი

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“ (შემდგომში აკადემია) წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვეციტაძის სახით და მეორეს მხრივ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის, გიგლა აგულაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვაღიარებთ რა საქართველოს ბუნების უნიკალურობას და მისი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მნიშვნელობას, ქვეყნის მდგრადი განვითარების მიღწევის საქმეში საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გადამწყვეტ ფაქტორს, ვითვალისწინებთ, რა ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაძლიერებისა და თანამედროვე რესურსდამზოგი და უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობას, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მიზანი და საგანი

მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 2. მხარეთა უფლებამოსილებანი

2.1. წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე, მხარეები, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავენ ერთობლივ გეგმას, სადაც განისაზღვრება ორმხრივი თანამშრომლობის კონკრეტული სფეროები და დეტალები.

2.2. მხარეები თანხმდებიან, რომ, საჭიროების შემთხვევაში, გაცვლიან ინფორმაციას და საჭირო მასალებს, აგრეთვე ყველა საინტერესო სიახლეს დროულად აცნობებენ ერთმანეთს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.3. მხარეები განახორციელებენ გარემოს დაცვის სექტორში მიმდინარე, დაგეგმილი სტრატეგიული და მნიშვნელოვანი პროექტების განხილვას. პრაქტიკულად წამოჭრილი საკვანძო საკითხების გადასაჭრელად, საჭიროების შემთხვევაში, აწარმოებენ ერთობლივ სამუშაოებს.

2.4. თითოეული მხარე, მეორე მხარის მოწვევით მონაწილეობას მიიღებს მხარის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში, კონფერენციებში ან/და საჯარო განხილვებში.

2.5. სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დამუშავებისა და განხილვის პროცესში, სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საჭიროების შემთხვევაში, მოწვეულნი იქნებიან აკადემიის წარმომადგენლები.

2.6. აკადემია წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში:

2.6.1. დახმარება აღმოუჩინოს სამინისტროს, გარემოს დაცვის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

2.6.2. მობილიზაცია გაუწიოს თავის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პოტენციალს, სამინისტროს ინტერესებში არსებული საკითხების გადაწყვეტისათვის.

2.6.3. თავის სამეცნიერო ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით წარუდგინოს სამინისტროს შესაბამისი წინადადებები, რეკომენდაციები, მოსაზრებები და დასკვნები.

2.7. სამინისტრო უფლებამოსილია:

2.7.1. მოთხოვნის შესაბამისად, მიაწოდოს აკადემიას საჭირო ინფორმაცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვასთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემების შესახებ.

2.7.2. ხელი შეუწყოს აკადემიას ამ მემორანდუმით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებაში.

მუხლი 3. გარდამავალი დებულებანი

3.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

3.2. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

3.3. ცვლილებებისა და დამატებების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც იქნება წინამდებარე მემორანდუმის განუყოფელი ნაწილი (დანართი).

3.4. წინამდებარე მემორანდუმი არ წარმოადგენს სავალდებულო შესასრულებელ დოკუმენტს და მასში აღნიშნული საკითხების განხორციელება დამოკიდებულია მხარეთა სურვილზე ან/ და კომპეტენციაზე.

3.5. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

3.6. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე, ურთიერთთანამშრომლობისა და დახმარების კონკრეტული მიმართულებები, ფორმები და ფარგლები შეიძლება განისაზღვროს ამ მემორანდუმის საფუძველზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით).

3.7. წინამდებარე მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია წერილობით მხარეთა მიერ ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით; ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ინიციატივის განმახორციელებელმა მხარემ მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს, მემორანდუმის შეწყვეტამდე ორი თვით ადრე.

3.8. მემორანდუმის შეწყვეტამ არ უნდა იქონიოს გავლენა იმ საქმიანობაზე, რომელიც განხორციელდა წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე.

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის“ პრეზიდენტი:

გიორგი კვესიტაძე



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრი:

გიგლა აგულაშვილი

